საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პორგრამის დასახელება	აღრიცხვა, აუდიტი, დაბეგვრა Accounting, audit, taxation
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აღრიცხვისა და დაბეგვრის მაგისტრი Master of Accouting and Taxasion
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ვაჟა ვერულიძე - პროფესორი, ელ ფოსტა: vazha.verulidze@bsu.edu.ge ია მესხიძე - ასოცირებული პროფესორი, ელ ფოსტა: ia.meskhidze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურ/ECTS მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი)	180 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	შესძინოს სტუდენტს ღრმა და სისტემური დარგობრივი თეორიული ცოდნაა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი, რომლის მეშვეობითაც შეძლებს საგადასახადო ანგარიშგების, ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების, ფინანსური ანალიზის დოკუმენტების მომზადებას, საქმიანობის პროცესში სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებას, საწარმოს რესურსების მართვას, საქმიანობის შესაბამისობას ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების მოთხოვნებთან; გამოუმუშავოს სტუდენტს ფინანსურ საქმიანობის შეფასების, მოსალოდნელ რისკების განსაზღვრის, აუდიტორული შემოწმების, პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარები; გამოუმუშავოს სტუდენტს როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური მუშაობის, დამოუკიდებელი კვლევის, ეთიკური ნორმების დაცვით საკუთარი მოსაზრებების აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან წარდგენისა და დასაბუთების (მათ შორის ინგლისურ ენაზე), პროფესიული განვითარების მიზნით ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებების განსაზღვრის უნარები.
სწავლის შედეგები	ამზადებს საწარმოს საგადასახადო დოკუმენტაციას და საგადასახადო ანგარიშგებას, ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას, სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საწარმოს რესურსების გამოყენების მართვას, კონტროლს და დანახარჯების შესახებ ინფორმაციის მომზადებას, დაფინანსების წყაროების მობილიზებას და მართვას, საჯარო შესყიდვების დაგეგმვას და მართვას; ამზადებს რეკომენდაციებს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო სტრატეგიის განსაზღვრის ან/და ოპტიმიზაციის შესახებ; ახდენს ფინანსური აღრიცხვის სისტემისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმებას, ანალიზისა და აუდიტისთვის, საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის კანონის შესაბამისობის აუდიტისთვის, ასევე, IT აუდიტისთვის საჭირო უნარებს; რისკებისა და დანახარჯების მართვისა და კონტროლის პირობებში აფასებს საწარმოს ფინანსურ საქმიანობას და მის შედეგიანობას; აღრიცხვისა და აუდიტის კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით, დამოუკიდებლად ახორციელებს სამეცნიერო კვლევას.

პროგრამა განახლებულია 01.03.2025 წ